

ამოცნობის ჩატარების პრობლემატიკა

ალანია გიმზერი – ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Certain Problems on Recognition Activity

Alania Gimzeri – Associate Professor, Faculty of Law, Sokhumi State University, Tbilisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: In this article is analyzed procedural regulation of recognition as one of the important investigative action and those recommendations offered by criminalistics science. Here are in a new way emphasized tactical methods and means of recognition and they relate to the additions included in criminal procedure code during the last period. Here are emphasized rights and duties of subjects under the recognition and on the necessity of use of that scientific and technical means equipped with criminal investigation technique.

Attention is paid to tactical ways of recognition and on the peculiarities of recognition of those objects considered under criminal procedure legislation.

Research methodology: In the article are applied analytical, historical and comparative legal methods.

Results and implications: Article has scientific, academic and methodical importance.

Conclusion: Perfected, wide-ranging and impartial results of case may be achieved, if certain investigative action, among them recognition is perfectly carried out by the investigator by completely meeting procedure legislation, taking into account recommendations drawn out within last years by criminalistics science and applying scientific and technical means.

Keywords: recognition, investigative action, investigator, prosecutor, procedural activity, operative service, operating officer.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ამოცნობის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგამომიებო მოქმედების ჩატარების პროცესუალური რეგულაცია და ის რეკომენდაციები, რაც კრიმინალისტიკურმა მეცნიერებამ შემოგვთავაზა. ახლებურად არის გაშუქებული ამოცნობის ჩატარების ტაქტიკური ხერხები და საშუალებები და ისინი გამომდინარეობენ უკანასკნელ ხანს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესრული დამატებებიდან. ყურადღებაა გამახვილებული ამოცნობის ჩასატარებელ სუბიექტთა უფლებებსა და მოვალეობებზე და იმ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობაზე, რომლითაც კრიმინალისტიკური ტექნიკა აღჭურვილი.

ყურადღებაა გამახვილებული ამოცნობის ჩატარების ტაქტიკურ მხარეებზე და იმ ობიექტების ამოცნობის თავისებურებებზე, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: სტატიას აქვს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური მნიშვნელობა.

დასკვნა: საქმის სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამომიების შედეგები მაშინ შეიძლება იქნეს მიღწეული, თუ კი ცალკეულ საგამომიებო მოქმედებას, მათ შორის ამოცნობას, გამომიებელი ჩაატარებს სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, გაითვალისწინებს ბოლო წლებში კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, გამოიყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები: ამოცნობა, საგამომიებო მოქმედება, გამომიებელი, პროკურორი, საპროცესო მოქმედება, ოპერატიული სამსახური, ოპერატიული მუშაკი.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თავისებურება მდგომარეობს მასში, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიიდან მხარეებს (ბრალდება, დაცვა) საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. მხარეები საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, ამდენად, ამოცნობის ჩატარების უფლებით ორივე მხარე სარგებლობს.

თავისი იურიდიული ბუნებით, არსით და მნიშვნელობით ამოსაცნობად წარდგენა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ყოველთვის იყო და დღესაც რჩება დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. რაც იმაში გამოიხატება, რომ ამომცნობი პირი (მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული) კანონით დადგენილი წესით ამოსაცნობი ობიექტის ამოცნობას ახდენს თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი და შემონახული ამოსაცნობი ობიექტისათვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო ნიშან-თვისებათა მიხედვით. მისი ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი პირების, საგნების, ადგილმდებარეობისა და სხვა ობიექტების ამოცნობა ხდება ამ ობიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესახებ ადრე დაკითხული (გამოკითხული) პირის მიერ თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი ამოსაცნობი ობიექტების სხვა ანალოგიური სახის ობიექტთა შორის მოთავსებით, რომელთა რაოდენობა იყოს ორზე ნაკლები.¹

ამოსაცნობად წარდგენა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც საჭირო ხდება შემთხვევით ადგილზე დარჩენილი ნივთის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების ან ძვირფასეულობის იდენტიფიკაციისათვის, დაკარგული ნივთის, ადგილმდებარეობის გარკვევის ან ადამიანისა თუ გამოსაძიებელ საქმეზე სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების მქონე ობიექტების დადგენისათვის, მაგრამ ამოსაცნობად წარდგენას ყველაზე უფრო მეტად მიმართავენ ისეთ ძალადობითი დანაშაულებების ჩადენის შემთხვევაში, როგორცაა განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ძარცვა, ყაჩაღური თავდასხმა, ხულიგნობა, გაუპატიურება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ამოსაცნობად წარდგენის არსი მდგომარეობს მასში, რომ დაზარალებულს წარედგინება ის პირი, ვინც მასზე დანაშაულებრივი ქმედება განახორციელა, თავს დაესხა, ჩაიდინა ძარცვა თუ ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობის მცდელობა თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

დაზარალებულს ან მოწმეს წარედგინოს ასევე ყაჩაღობით, ძარცვით ან ქურდობით გატაცებული მისი კუთვნილი ტანსაცმელი, ძვირფასი სამკაულები ან სხვა ნივთები, აგრეთვე მისი კუთვნილი ცხოველები ან ფრინველები, დაზარალებულს შეიძლება ამოსაცნობად წარედგინოს აგრეთვე ადამიანის დაუდგენელი გვარი და ა.შ.

ამოსაცნობად წარდგენა იმით განსხვავდება სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებისაგან, რომ ის ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოწმეს, დაზარალებულს ან სხვა ამომცნობ პირს შესაძლებელია ამოსაცნობად წარედგინოს ცოცხალი პირი, ნივთი, საგანი, მისი კუთვნილი ძვირფასეულობა და ა.შ., თუ კი ის თავის ჩვენებებში მიუთითებს მათ ზოგად ან კერძო ნიშნებზე, რისი მეშვეობითაც შეძლებს მათ ამოცნობას. შესაძლებელია ისიც, რომ მოწმე, ნამდვილად იყოს მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების (მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა და სხვ.) თვითმხილველი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ყურადღება არ მიაქცია ამა თუ იმ მოვლენას, ვერ დაიმახსოვრა და ვერ აღიქვა, ანდა მას გააჩნია ფიზიკური ნაკლი (შორს-

¹ შოთა ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), სახელმძღვანელო, გამ. "მერიდიანი", 2013, გვ. 512-53

მხედველი, ახლომხედველი და ა.შ.) ბუნებრივია, ასეთი პირის მიმართ ამოსაცნობად წარდგენა ვერ ჩატარდება.

ამდენად, თუ დაზარალებული, მოწმე ან პროცესის სხვა მონაწილე უარს აცხადებს ამოცნობაზე და აჩვენებს, რომმას არ შეუძლია ამოიცნოს თავდამსხმელი ან მისი დატაცებული ნივთები, რადგან მას არ ახსოვს ამოსაცნობი ცოცხალი პირის ან საგნის დამახასიათებელი ან მისი განმასხვავებელი ნიშანი და სხვა, ასეთ შემთხვევაში მის მიმართ ამოსაცნობად წარდგენის ჩატარება უაზრობაა.

ამოსაცნობად წარდგენა შესაძლებელია, თუ კი არსებობს შემდეგი პირობები:

- 1) ამომცნობმა პირადად აღიქვა და დაიმახსოვრა პირი ან ობიექტი, რომელთა ნიშანთვისებებით შეუძლია შეადაროს და ამოიცნოს პირი ან ობიექტი;
- 2) ამომცნობს შეუძლია, გადმოსცეს ამოსაცნობი პირის ან ობიექტის თუნდაც ძირითადი ნიშან-თვისება.²

ამოსაცნობად წარდგენას, მართალია, როგორც წესი, წინ უსწრებს მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, იმ მიზნით, რომ გაირკვეს, რა ნიშან-თვისებებით შეუძლიათ მათ პირისა თუ ობიექტის ამოცნობა. აღნიშნული საკითხების გარკვევის შემდეგ კი ხდება ამოცნობის ჩატარება, მაგრამ როგორც სწორადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამოცნობა გავაიგივოთ დაკითხვასთან.³

მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული, ამოსაცნობი საგნის ნიშან-თვისებებთან შესახებ შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ ცოცხალი ამოსაცნობი პირის, დაკარგული ნივთებისა და სხვა საგნების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ამოცნობას წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობი პირის დაკითხვა (გამოკითხვა). რაც შეეხება გვამის ამოცნობას, ასეთ დროს, როგორც წესი, ამომცნობი პირის წინასწარი დაკითხვა (გამოკითხვა) არ ხდება, რადგანაც წინასწარ უცნობია ის პირი, ვინც შეძლებს მის ამოცნობას. ასეთ დროს ჯერ ტარდება ამოცნობა, შემდეგ კი ამომცნობი პირის დაკითხვა იმის შესახებ, თუ რა ნიშნების საფუძველზე ამოიცნო მან ამოსაცნობი გვამი და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ნივთის, საგნის, ადამიანის, ცხოველის, დოკუმენტის და გვამის. ამოსაცნობად წარდგენამდე აუცილებელია ამომცნობი დაიკითხოს. ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალურ და გვარეულობით ნიშან-თვისებათა თაობაზე და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას აკავშირებდა ამოსაცნობ ობიექტთან, ამასთანავე, ამომცნობმა უნდა განმარტოს, თუ რა ნიშან-თვისებებით (ზოგად ან ინდივიდუალურ) შეუძლია ამოცნობა (ადამიანის ამომცნობი უნდა დაიკითხოს, ამოსაცნობი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ ორ ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისა და ამოსაცნობისგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. შეიძლება პრაქტიკაში წარმოიშვას შემთხვევა, როდესაც პირმა რაიმე დანაშაული (მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა და ა.შ.) ჩაიდინა, როდესაც მას ეკეთა მზის სათვალე. ამოცნობის ობიექტურად ჩატარების მიზნით, როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული, ალბათ, უმჯობესია ასეთი სიტუაციისას ყველა ამოსაცნობ პირს გაუკეთდეს ისეთი მზის სათვალე, როგორსაც ამომცნობი აღწერს და ისე ჩატარდეს ამოცნობა.⁴

² Руководство для следователей, под, ред, Н. А. Севанова, изд, Инфра, М., 1998, ст. 342.

³ შ. ფაფიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 513.

⁴ მ. მამნიაშვილი, ამოცნობა, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტ. კოლ. ჯ. გაბოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით. გამ. "იურისტების სამყარო", თბილისი, 2015 წ. გვ. 97

უფრო რთულადაა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირთა ჯგუფმა საცხოვრებელ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს ნიღბებით, ასეთ შემთხვევაში მხარეებმა წინასწარ უნდა გამოკითხონ (დაკითხონ) დაზარალებული, რამდენადაც ამოსაცნობად წარდგენა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, აუცილებელია იმის დადგენა, შეძლებს თუ არა დაზარალებული ბოროტმოქმედის (ბოროტმოქმედების) ამოცნობას, დადებით შემთხვევაში - რა ნიშან-თვისებების მიხედვით, ამასთანავე, აუცილებელია უტყუარად დადგინდეს ბოროტმოქმედის (ბოროტმოქმედების) გარეგნობა: სიმაღლე და გარეგნობის სხვა ზოგადი და კერძო ნიშნები, როგორი, დანაშაულის ჩადენის მომენტში რა სახის ნიღბები ეკეთათ, ასევე გატაცებული ძვირფასეულობის და ნივთების აღწერა, დაკითხვის (გამოკითხვის) ოქმში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს პირის თუ გატაცებული სხვა ობიექტის დეტალური იდენტიფიკაციისათვის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომლის საშუალებითაც დაზარალებული შეძლებს მათ ამოცნობას.

ზემოთ ხსენებული პირობების იგნორირებით ჩატარებული ამოცნობა ვფიქრობთ, დაუშვებელია, რაც საქართველოს სსსკ 72-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ორგანოების მიერ უნდა იწვევდეს მის უკანონო, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

ოთხი ნიღბიანი, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პირი თავს დაესხა თბილისში, ქინძმარაულის ქ. #15-ში მცხ. ჯ. ქ.-ის საცხოვრებელ ბინას, რა დროსაც სახლში იმყოფებოდნენ ჯ. ქ.-ის ცოლი და ქალიშვილი, პისტოლეტით შეიარაღებულმა პირებმა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით გაიტაცეს ფული, ძვირფასეულოა, რომლებიც ჩააწყეს ეზოში მდგომ ჯ. ქ.-ის ავტომანქანა "ვოლგა-31"-ში და გაიტაცეს.

მესამე დღეს დაკავებული იქნა ოთხი პიროვნება, რომლებმაც აღიარეს ჯ. ქ.-ის საცხოვრებელ ბინაში ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი, გამომძიებელმა ნაცვლად იმისა, რომ დაზარალებულისთვის ამოსაცნობად წარდგენა მოეხდინა ნიღბებიან პიროვნებებზე, მან ეს ამის გარეშე გააკეთა დაზარალებულს ამოსაცნობად წარუდგინა დაკავებული პიროვნებები, რომლებსაც ნიღბები არ ჰქონდათ გაკეთებული⁵, მოსამართლემ სავსებით სამართლიანად ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია.

წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის საფუძველზე, გამომძიებლის გადაწყვეტილებით, პირის ამოცნობა შეიძლება ჩატარებულიყო ამოსაცნობის ვიზუალური დაკვირვების გარეშე, რაც გულისხმობდა იმას, რომ ამოსაცნობად წარდგენა მოხდებოდა არა უშუალოდ პირდაპირ ამოცნობისა და ამოსაცნობის პირის ურთიერთდაკვირვებით, არამედ ამოსაცნობი პირისაგან შეუმჩნევლად. ასეთ დროს ამოსაცნობი პირის სხვა მსგავს პირთა შორის მოთავსების შემდეგ, მათგან შეუმჩნევლად არავიზუალურად ამომცნობ პირს, სხვა დამსწრე პირებთან ერთად, წინადადება ეძლეოდათ ამოსაცნობი პირისაგან შეუმჩნევლად განმარტოს, ამოსაცნობად წარდგენილ პირთა შორის ხომ არაა ის პირი, რომელიც თავს დაესხა ან რომელიც ნახა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში, მაგრამ მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ ამოსაცნობად წარდგენის აღნიშნული რეგულაცია უარყო და აღარ ითვალისწინებს, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული მეცნიერი ამ წესით ჩატარებულ ამოცნობას დადებითად აფასებენ და ფიქრობენ, რომ ეს საშუალებას იძლევა, ამომცნობზე (მოწმეზე ან დაზარალებულზე) ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე მოხდეს ბრალდებულის ამოსაცნობად წარდგენა⁶, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფარული ამოცნობის ჩატარებით არ არის გამორიცხული პოლიციის მუშაკების მხრიდან, მოწმეზე ან დაზარალებულზე განხორციელდეს კანონსაწი-

⁵ ისან-სამგორის რაიონის სასამართლოს არქივი, #010799.

⁶ შ. ფაფიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 514.

ნააღმდეგო მოქმედებები, და მეორეც, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია, თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული მიიმალა და შეუძლებელია ამოცნობის ჩატარება, გამომძიებელი უფლებამოსილია ამოცნობა ჩაატაროს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ სამი სხვა ფოტო, რომლებზედაც აღბეჭდილია პიროვნებები, რომლებიც მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან. ფოტოსურათების ამოსაცნობად წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით. ამასთანავე, ამომცნობის მიერ ამოსაცნობი ობიექტის განმეორებითი ამოცნობა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინა ამოცნობა ფოტოსურათით ჩატარდა.

და ბოლოს, ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებაზე, რომელიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი პირის იდენტიფიკაციისათვის. ან თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე.

გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი ობიექტის ამოცნობისათვის, რომლის ანალოგის შერჩევაც შეუძლებელია, ამოცნობა ტარდება მხოლოდ ამოსაცნობის ობიექტის მიხედვით.

ამდენად, მხარეების მიერ კანონშესაბამისად ამოცნობის ჩატარება სრულ შესაძლებლობას იძლევა, ყოველ კონკრეტულ საქმეზე დადგინდეს ის პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შოთა ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), სახელმძღვანელო, გამ. "მერიდიანი", 2013, გვ. 512-53
2. Руководство для следователей, под, ред, Н. А. Севанова, изд, Инфра, М., 1998
3. მ. მამნიაშვილი, ამოცნობა, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტ. კოლ. ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით. გამ. "იურისტების სამყარო", თბილისი, 2015 წ.
4. ისან-სამგორის რაიონის სასამართლოს არქივი, #010799.